

MEMORIES OF GEORGIAN JEWS ABOUT GEORGIANS AND GEORGIA IN TERMS
OF
COMMUNICATIVE MEMORY¹

ქართველი ებრაელების მოგონებები ქართველებსა და საქართველოზე
კომუნიკაციური მეხსიერების ჭრილში²

INGA ZABAKHIDZE

Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Chavchavadze Avenue 1, Tbilisi, Georgia.
inga.zabakhidze@tsu.ge
599 779 700
<https://orcid.org/0009-0000-7212-2785>

KETEVAN LORTKIPANIDZE

Doctor of Philology, Associate Professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.
Chavchavadze Avenue 1, Tbilisi, Georgia.
ketevan.lortkipanidze@tsu.ge
595 094 366
<https://orcid.org/0009-0004-8323-2655>

Abstract

Georgian Jews has been closely connected with our country since immemorial time (26 centuries) and actively participated in all spheres of public life. It is worth noting the fact that the cultural memory of the Jewish people in general is determined by mobility, that is it has always been based on the principle of extraterritoriality. This moment also came in the history of the Georgian Jewish community, when after centuries they left their homeland, Georgia and moved to their historical homeland, Israel. In connection with this event, the communicative memory of Georgians and Jews acquires special importance in order not to be erased and forgotten the details of unknown facts of the centuries-old relations between these two peoples. Being in an emotional relationship with the past, memories that already belong to history, as a historical source are valued not only by facts, but also by an unmistakable picture of socio-psychological relations.

¹The research was carried out with the support of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia [FR-21-20691]

² კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-21 -20691]

This article is based on the narrative material obtained by our working group in the Kingdom of Belgium in September 2024, namely, the memories of Georgian Jews about Georgia and Georgians, living in the city of Antwerp.

The mentioned research once again shows the objective and subjective reasons that contributed to the high degree of integration of the Jewish ethnic group in Georgia and the goodwill of the Georgian society towards it.

Key words: Communicative Memory; Antwerp; Israel; Jewish Community.

ინგა ზაბახიძე

ისტორიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ჭავჭავაძის გამზირი 1, თბილისი, საქართველო.
inga.zabakhidze@tsu.ge
599 779 700
<https://orcid.org/0009-0000-7212-2785>

ქეთევან ლორთქიფანიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ჭავჭავაძის გამზირი 1, თბილისი, საქართველო.
ketevan.lortkipanidze@tsu.ge
595 094 366
<https://orcid.org/0009-0004-8323-2655>

აბსტრაქტი

უხსოვარი დროიდან (26 საუკუნე) ქართველი ებრაელები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან და აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთლიანობაში ებრაელი ხალხის კულტურული მეხსიერება აღინიშნება მობილურობით, ანუ ის ყოველთვის ეფუძნებოდა ექსტრატერიტორიულობის პრინციპს. ეს მომენტიც დადგა ქართველი ებრაული თემის ისტორიაში, როდესაც საუკუნეების შემდეგ მათ დატოვეს სამშობლო, საქართველო და ისტორიულ სამშობლოში, ისრაელში გადასახლდნენ. ამ მოვლენასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართველებისა და ებრაელების კომუნიკაციურ მეხსიერებას, რათა ამ ორი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის უცნობი ფაქტების დეტალები არ წაიშალოს და მივიწყებას არ მიეცეს. წარსულთან ემოციურ კავშირში ყოფნა, მოგონებები, რომლებიც უკვე ისტორიას ეკუთვნის, როგორც ისტორიულ წყარო, ფასდება

არა მხოლოდ ფაქტებით, არამედ სოციო-ფსიქოლოგიური ურთიერთობების უდავო სურათით.

სტატია ეფუძნება 2024 წლის სექტემბერში ბელგიის სამეფოში ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ მოპოვებულ ნარატიულ მასალას, კერძოდ, ქალაქ ანტვერპენში მცხოვრები ქართველი ებრაელების მოგონებებს საქართველოსა და ქართველებზე.

აღნიშნულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყო ებრაული ეთნოსის ინტეგრაციის მაღალ ხარისხს საქართველოში და ებრაელთა მიმართ ქართული სოციუმის კეთილგანწყობას მის მიმართ.

საკვანძო სიტყვები: კომუნიკაციური მეხსიერება; ანტვერპენი; ისრაელი; ებრაული თემი.

შესავალი

ქართველებისა და ებრაული თემის თანაცხოვრება მრავალ საუკუნეს ითვლის. საინფორმაციო ველი, რომელიც ქმნის ქართველთა და ებრაელთა კომუნიკაციურ, ისტორიულ მეხსიერებას ფორმირდება აგრეთვე ქართველთა და ებრაელთა მოგონებებზე დაყრდნობით. აღნიშნული მოგონებები დაკავშირებულია სოციალური ყოფის, თანაარსებობის სხვადასხვა ასპექტთან. მოგონებებში ჩართულნი არიან სოციუმის სხვადასხვა წარმომადგენლები. წარსულთან ემოციურ დამოკიდებულებაში მყოფი, აწ უკვე ისტორიის კუთვნილი მოგონებები, როგორც ისტორიული წყარო ფასეულია არამარტო ფაქტოლოგიით, არამედ სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების უტყუარი სურათით. ქართველი ებრაელობა უხსოვარი დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

როგორც აღნიშნავდა ცნობილი ეთნოლოგი ვ. მიულმანი: “ზღვარი ხალხებს შორის (Völker) არ წარმოადგენს გეოგრაფიულ ცნებას, არამედ განისაზღვრება თვით ადამიანით. ადამიანი წარმოადგენს იმ სასაზღვრო ნიშანსვეტს, რომელიც მარკირებულია ანთროპოლოგიური მახასიათებლებით, ენით, რელიგიური მიკუთვნებულობით, ტრადიციებით, სამოსით, თუნდაც სამკაულებით, სამზარეულოთი, ცხოვრების სტილით, in summa: კულტურით”(Mühlmann, 1995:19).

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ზოგადად ებრაელი ხალხის კულტურული მეხსიერება განისაზღვრება მობილურობით, რადგან ის ყოველთვის ეფუძნებოდა ე.წ. ექსტრატერიტორიულობის პრინციპს. დადგა ეს მომენტი ქართული ებრაული თემის ისტორიაშიც, როდესაც მათ საუკუნეების შემდეგ დატოვეს სამშობლო, საქართველო და ისტორიულ სამშობლოში გადასახლდნენ. ეს პროცესი (დიდი ალია) გასული საუკუნის სამოცდაათი წლებიდან დაიწყო და დღესდღეობით საქართველოში ძალზედ შემცირდა ებრაელთა რიცხვი. 26 საუკუნოვანი თანაცხოვრება და ინტენსიური სოციალური და კულტურული ურთიერთობანი გაქრობის პირასაა. სწორედ ამ გარემოებამ აქტუალური გახადა „კომუნიკაციური მეხსიერების“ წინა პლანზე წამოწევა (Assmann, 2011: 15-27; Assmann, 2001).

მეთოდოლოგია. აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად გამოყენებული იყო სავსე მუშაობისა და კომპლექსური კვლევის მეთოდები. პირველი გულისხმობს რესპოდენტებთან ადგილზე მუშაობას - ნარატივების ციფრულ დოკუმენტირებას. მეორე კი - თემატურად მრავალფეროვანი მასალის ინტერდისციპლინურ კვლევას შესაბამისი დარგების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზეპირი ისტორიის მეთოდს (მოგონებების რეკონსტრუირების გასაუბრების საშუალებით) სხვადასხვა სახის მოგონებებთან ერთად გვაძლევს საშუალებას ჩავიხედოთ ეპოქაში გარკვეულწილად შევისწავლოთ საზოგადოების ისტორიაც კონკრეტული მონათხრობის კვალობაზე, რომელიც ჩაწერილია და დაფიქსირებული სხვადასხვა ფორმით: (ვიდეო, აუდიო, ტექსტური)

შედეგები და დისკუსია. კომუნიკაციური მეხსიერება მოიცავს მოგონებებს, რომლებიც დაკავშირებულია ახლო წარსულთან. ის არ არის ხანგრძლივი (80 - 100) წელი და მოიცავს 3 - 4 თაობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ეს მეხსიერება არსებობს იმათში, ვინც უშუალოდ ამ მეხსიერების მატარებელი არიან. კომუნიკაციური მეხსიერება ჩნდება ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში და სრულდება მისი მატარებლების გარდაცვალებასთან ერთად. ამის შესახებ საუბრობს მკვლევარი კრეიტივო მალიცკი პოლონელი ებრაელობის შესახებ თავის ერთ-ერთ ყურადსაღებ სტატიაში: “დღესდღეობით პოლონელი ებრაელების წარსულის მეხსიერება კვლავ არსებობს, მაგრამ მეხსიერების მატარებელთა რიცხვი შეუდარებლად მცირეა...ებრაული თემა ხომ მარტო პოლონელებთან არ არის დაკავშირებული, არამედ ბევრ სხვა ეროვნებასთან. ამიტომაც ეს თემა, ეს საკითხი, გნებავთ პრობლემა ბევრი ეროვნების მეხსიერებაში არსებობს, მუდმივად ხდება გახსენება“ (Malick, 2015: 64). მეხსიერება ყალიბდება ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტერპერსონალური ურთიერთქმედების, პირადი გამოცდილებებისა და პირადი ისტორიების საფუძველზე, ყოველდღიური კომუნიკაციის პროცესში, დროთა განმავლობაში კი გადადის კულტურულ მეხსიერებაში.

აღნიშნული სტატია ეყრდნობა ჩვენი სამუშაო ჯგუფის მიერ 2024 წ. სექტემბერში, ბელგიის სამეფოში მოპოვებულ ნარატიულ მასალას, კერძოდ, ქალაქ ანტვერპენში მცხოვრები ქართველი ებრაელების მოგონებებს საქართველოზე და ქართველებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ხელთ არსებული ეს ნარატიული მასალა მოიცავს ამ ორი ხალხის თანაცხოვრების ფართო საზოგადოებისათვის უცნობ, მივიწყებულ, ზოგჯერ ყურადსაღებ ფაქტებსაც კი. მოპოვებული მასალა ხშირად გარკვეულ სტერეოტიპებთან ავლენს კავშირს, არასიღრმისეულია, ისტორიები, მოგონებები, რომლებიც ყოველთვის არ არის თანამიმდევრული, ხშირად ქაოტურ, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, რაც არ არის გასაკვირი, რადგან მთხრობელთა გარკვეულ ნაწილს ადრეულ ასაკში მოუწიათ საქართველოდან გამგზავრება. ამასთან, აქ მცხოვრებ ქართველ ებრაელთა დღევანდელი ყოფა-ცხოვრება, უშუალოდ მათ საურთიერთო წრეში მიმდინარე მოვლენები, მათი სოციალური სტატუსებიც არანაკლებ საინტერესოა და სამეცნიერო კვლევისათვის კულტუროლოგიის მიმართულებით ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს.

რესპოდენტ ტომერ რეოვენის (დაბად.1988 წ. ისრაელში, 36 წ.) მონათხრობი ამის დასტურია: „ჩვენ ქართული ტრადიცია შევინარჩუნეთ. დღეს ისრაელში ქართველი

ებრაელები ისე არ ინარჩუნებენ ქართულ ტრადიციას, როგორც ჩვენ აქ. აქ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ძველმოდური ქართველები ვართ (იციან). ჩვენ ჯერ კიდევ ვქორწინდებით ერთმანეთზე ძალიან ადრე 18-20 წლის ასაკში. ქართული ოჯახები ქართულ ოჯახებთან ნათესავდებიან და ამიტომაც იზრდება ებრაული თემი, იზრდება და რჩება ქართული საზოგადოება. ქართული ლაპარაკი ბოლო ორი წლის განმავლობაში ვისწავლე, ყველაფერი მესმის, მაგრამ ლაპარაკი რთულია. სახლში ოთხი ქალიშვილი მყავს და ისინიც ინარჩუნებენ ტრადიციას, ცეკვავენ ქართულ ცეკვებს... ჩვენ გვყავს ჩვენი არაებრაელი ქართველები აქ, რომლებიც ბელგიაში ცხოვრობენ და ასწავლიან ქართულ წეს-ჩვეულებებს, მათ შორის ქართულ ცეკვასაც. ანტვერპენის ქართული თემი ჰგავს პატარა ქართულ სოფელს ანტვერპენში. ასე უნდა დავინახოთ, რადგან ყველანი ერთად ვცხოვრობთ, ერთ სივრცეში. სახლში ტრადიციულ ქართულ კერძებს ვინახავთ. ყველა ქართულ საჭმელს ვჭამთ: ხაჭაპურს, შეჭამანდს. ეს ყველაფერი ჩვენია. ჩვენ ვჭამთ იმას, რასაც თქვენ - საქართველოში, ამიტომ ვფიქრობ, აქ ქართული თემი უფრო ქართულია ვიდრე ისრაელში. ისრაელში უფრო ისრაელელებს გვანან. აქ ჩვენ ისევ ქართველ ებრაელებად ვითვლებით. მე არ დავბადებულვარ საქართველოში, დავიბადე ისრაელში, მაგრამ მაინც ქართველად ვთვლი თავს და არა ისრაელელად ან ბელგიელად. ასეთი მენტალიტეტი გვაქვს აქ დღეს. ქართველების უმეტესობა სადგურთან ახლოს მდებარე საიუველირო უბანში საქმიანობს. ასე რომ, თუ იქ ფეხით წახვალთ და მაღაზიიდან მაღაზიაში გადაინაცვლებთ, სავარაუდოდ ნებისმიერს შეგიძლიათ ეწვიოთ და ყველას შეუძლია მოგიყვეთ ებრაული თემის ცხოვრების შესახებ.“

ზეჰავა რეუენი (მზია ჯინჯიხაშვილი) (დაბად. 1961წ. სურამში, 63 წ.): „ პატარა ვიყავი, როცა ოჯახთან ერთად ისრაელში გავემგზავრე. მართალი გითხრათ, დიდად არ მახსოვს საქართველოში ქართველებთან თანაცხოვრების დეტალები, ამასთან დაკავშირებული ემოციები. ქართული ენაც ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ძირითადად ქართულად ვსაუბრობდით, სკოლაშიც, ინსტიტუტშიც ივრითზე მიმდინარეობდა სწავლა. შემდგომ გავთხოვდი და ოჯახთან ერთად ბელგიაში გადმოვსახლდი, ანტვერპენში დავიდეთ ბინა. რამდენიმე წლის წინ საოცრება მოხდა ჩემს ცხოვრებაში. იუთუბ არხზე დავიწყე ქართული სერიალის, “ჩემი ცოლის დაქალები“ ყურება, რომელმაც ძალიან გამიტაცა და ქართული ენა კვლავ შემოვიდა ჩემში. გამახსენდა ყველაფერი და დავიწყე ქართულად გამართულად საუბარი. ეს ფაქტი მე მაბედნიერებს.“

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ბელგია გახლდათ ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, სადაც „დიდი ალიის“ ფარგლებში მოხდა ქართველი ებრაელების დიდი ნაწილის მიგრაცია. ანტვერპენში ებრაელები კომპაქტურად ცხოვრობენ. ამ ქალაქში ორმოცდაათზე მეტი სინაგოგაა. აქ ქართველი ებრაელები ძირითადად ფალკომპლეინის ქუჩის ახლომახლო მდებარე რაიონებში და ბელგიელის ქუჩაზე ცხოვრობენ. ბელგიელი ებრაულ უბნად ითვლება. ფალკომპლეინის ქუჩიდან ებრაელთა უბნამდე დაახლოებით ორი კმ. მანძილია. 1500 მდე ქართველი ებრაელი (300 ოჯახი) ცხოვრობს დღესდღეობით ანტვერპენში. მათი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია ბრილიანტების ბიზნესთან. სპეციალიზირებული მაღაზიების მფლობელები არიან. აბრამ ფიჩხადის (მაღაზიის

მფლობელი) ინფორმაციით, 2000 წლისთვის ანტვერპენში 100 ოჯახამდე ცხოვრობდა და ამ პერიოდში ქართველმა ებრაელებამ დასვა საკითხი მათთვის სინაგოგის გამოყოფის შესახებ (სეფიაშვილი, 2000: 381)

2002 წელს ერთ-ერთმა ქართულმა სინაგოგამ (ანტვერპენში ორი ქართული სინაგოგა) მარი ლეის №14 დაიდო ბინა და დღემდე ფუნქციონირებს. ღვთისმსახურებასთან ერთად ქართველი ებრაელობა ზრუნავს მომავალი თაობებისათვის ქართული მემკვიდრეობის გადაცემაზეც, ატარებს საგანმანათლებლო-კულტურულ ღონისძიებებს. აღნიშნულ სინაგოგაში, რომლის ინტერიერი არის მდიდრულად დეკორირებული, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ვაზის მოტივი. ვაზი ამოტვიფრულია შენობის სვეტებზე, სკამების სახელურებზე და საზურგეებზეც. ყველგან საითკენაც გაიხედავთ, ყველგან ვაზია. აღნიშნულ სინაგოგას ქართულს უწოდებენ და ვაზის მოტივიც შემთხვევითი არ უნდა იყოს. ცნობილია, რომ ვაზი ქართველებისა და ებრაელების საკულტო მცენარეა. „...ვაზის სიყვარულიც საზიარო აზრითა და სიმბოლიკით აქვთ განმტკიცებული „იუდეველისათვის ვაზი, ტრადიციულად, ებრაელი ერის სიმბოლოდ აღიქმება: („რამეთუ ვენახი უფლისა საბაოთისი სახლი ისრაელისა არს“ ესაია 5,7) და რაღაც ყველაზე წმიდასა და ამაღლებულს განასახიერებს“ (აჯიაშვილი, 1992: 41).

აი, რას მოგვითხრობს ანტვერპენში მცხოვრები მოსე (მოშკა) ჭიანურივი (დაბად.1952წ. თბილისში,72წ.):“ ყოველ წელს ვყიდულობდით ტონა ნახევარ ყურძენს, მარტო -თეთრს. ნახევარ ტონა წითელ ყურძენს და ვწურავდით. ბაბუა ახალციხელი იყო. რაბაი რომ გახდა, ცხრამეტი წლის იყო. თბილისში რომ გადმოიყვანეს რაბაიდ, ხშირად იძახდა, ქორწილი რომ ჩამეტარებიაო, როგორც თქვენ ეძახით ჯვრისწერას, ჩვენ - ქეთობას, ქეთობისათვის ოჯახ-ოჯახ ეძებდნენ ქაშერ ღვინოს თბილისში... ბაბუის დამსახურებაა, რომ შემდგომში ყველა ებრაულ ოჯახს თავისი ქაშერი ღვინო ჰქონდა. ქაშერი ღვინოც ტრადიციული წესით მზადდება, უბრალოდ არაებრაელმა არ უნდა მოკიდოს ხელი და არ უნდა დაესწროს დაწურვის პროცესს. კარგად მახსოვს ყურძნის იაშჩიკები რომ ჩაჰქონდათ სარდაფში და როგორ ჰყლეტდნენ “(სტილი დაცულია).

იური (ელაუ) ბერიძე (დაბად. 1950 წ. საჩხერეში, 74 წ.) პოეტი,მხატვარი,კინორეჟისორი: „მე ვერ ვგრძნობ რა არის ებრაელი და რა ქართველი, სამშობლო ჩემი ერთი საქართველოა. სამშობლო ერთია როგორც დედა...“ საუბრისას ბატონმა იურიმ გაიხსენა სკოლაში სწავლის პერიოდი და ქართულის მასწავლებელი ქალბატონი თინა მელაძე: „რომ გვიხსნიდა ნესტან-დარეჯანის სილამაზეს, ყველა ვუყურებდით მას, თითქოს თავის თავს აღწერდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი სახე ,შემიძლია დავხატო, ხატვა მეხერხება...ულამაზესი სახე, უკეთილშობილესი ,თეთრი თმა მიუყვებოდა ტალღად. შეეძლო ბავშვების სიყვარული, არ გვარჩევდა ერთმანეთში, მაგრამ მე მაინც ვგრძნობდი მის ჩემდამი სიყვარულს...ნიჭიერს მეძახდა, მაგრამ ყოფაქცევაში მქონდა სულ სამიანი (იცინის), ლექსებს ვწერდი, ატირდებოდა და მიწერდა ხუთიანს.“ მან გაიხსენა ურთიერთობა გია ყანჩელთან, რომელიც სიცოცხლის ბოლო წლებში ანტვერპენში ცხოვრობდა, რეზო გაბრიამესთან: „რეზო გაბრიამეს ვიცნობდი ,რეზო იყო გადასარევი ადამიანი.უსწრებდა თავის ეპოქას და მითხრა დედას ვფიცავარ, ქუთაისელი ვარ და შაბათობით ებრაელებს ცეცხლს ვუნთებდიო, ფულს მჩუქნიდნენო, საჭმელს მიყოფდნენო...“ “კოწია იყო აქ ჩამოსული, კოწია კალმახელიძე, მამის ამხანაგი. დამირეკა და მითხრა ესა და ეს ვარ შენი ნახვა მინდაო, თუ მიცნობო... მე ვუთხარი რავა არ გიცნობ

თევდორი, სად ხარ? დავასახლე კოწია ფანკომპლიენში, სასტუმრო ავულე. 1000 ფრანკი დიდი ფული ეგონა და რამდენ ფულს გახარჯვინებო მითხრა... და დილას დამხვდა ჩანთით ხელში, აგერ დავიძინებ სკამეიკაზე, ამდენ ფულს ნუ იხდით...”

იოსებ გორელაშვილი (დაბად.1955 წ.თბილისში 69 წ.) მეწარმე: „გახლავართ გორელაშვილი იოსები სიმონის ძე, ქართულად სოსო, მეგობრები სოსოს მეძახდნენ. გავიზარდე მამაცაშვილის ქუჩაზე, მერე ვცხოვრობდი მერკვილამეზე, მერე ვორონცოვზე. ისრაელში წამოვედი 1973 წ. ივნისში და ნოემბერში დაიწყო ომი (იომ ქიფური)... თბილისში ვსწავლობდი 67-ე სკოლაში. ისე ჩემი მშობლები ახალციხიდან არიან. ახალციხეში ხშირად ჩავდიოდი ბებიასთან და დეიდასთან. რაბათთან ახლოს ცხოვრობდნენ. ახალციხეში ცხოვრობდნენ მეკინულაშვილები, იხოშვილები, ხაიმაშვილები... საქართველოში სავსე მყავს მეგობრები, უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი, რომ წამოვედი. კიბერნეტიკაზე ვსწავლობდი, ცარიელი ტვინი ვიყავი (იცინის). ძალიან კარგი ახლო მეგობარი მყავდა თემურ დეკანოსძე, მამამისი იყო კინორეჟისორი, ძნელადის ქუჩაზე ცხოვრობდნენ. ერთ-ერთი ჩემი საუკეთესო მეგობართანი იყო ბიჭიკო გუგუნავა. 1990-91 წლებში საქართველოში რომ ვიყავი, ვნახე. ძალიან გული სტკიოდა ბიჭიკოს, რაც ხდებოდა საქართველოში. ვიჯექით და ვლაპარაკობდით მაგ ამბებზე. ეგენი ცხოვრობდნენ ოპერის უკან. ერთი მეგობარი ჰყავდათ თენგიზი, აკორდეონზე უკრავდა. ერთხელაც ერთად ჩაკოტრიალდნენ თავდადმართზე. ისინი დაიჩვენენ, აკორდეონი კი მთელი დარჩა (იცინის). მეუღლე საქართველოში მოვიყვანე, ქუთაისიდან არის წარმოშობით, ბინიაშვილია გვარად... ხანდახან ის მახსენდება, რომ აი, გაზაფხული რომ დადგებოდა და ეს სულ უკ, მაშინ მითუმეტეს ისეთი ჰაერი იყო. პირდაპირ ეზოში იყო უნაბის ხე, თუთის ხეები... სულ იქ ვიყავი. მამაცაშვილზე იყო კაკლის ხე, რო ავდიოდი მეზობლები კანკალებდნენ, ეე, ბევრი რამაა გასახსენებელი. ქუჩაში ფეხბურთს რომ ვთამაშობდით...ფანჯარა გატყდებოდა და ყველა გარბოდა (იცინის). მარა, ერთი იმითა ვარ კმაყოფილი, რომ ჩვენმა ხალხმა, ებრაელმა ხალხმა გამოიტანა საქართველოდან კულტურა და ჩაიტანა ისრაელში და ინახავს დღესაც...”

მოშე რეოვენი (მერაბ წიწუაშვილი) (დაბად.1962 წ. ქ. ქუთაისში, 62 წ.): „დავიბადე ქუთაისში,1972 წელს წამოვედი ქალაქ ანტვერპენში. მაქვს ჩემი მაღაზია და სინაგოგაში ვარ გაბაი. საქართველოში პირველი სამი წელიწადი რუსულ სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ შაუმიანის გადაღმა იყო რუსული სკოლა. ახლა აღარ არის. ათი წლის ვიყავი რომ წამოვედი, მე-3 კლასში. მე ორნაირი სახელი მერქვა: ებრაელობაში მე დამარქვეს მოშე და ქართულ ენაზე და მეტრიკაში ჩაწერეს მერაბი, რომ არავის სახელის მიხედვით არ გაეგო, რომ ებრაელი ვარ...ათი წლის ბავშვს ყველაფერი უნდა ახსოვდეს. ბადიც მახსოვს, სკოლაც, ქუჩაც, რიონის პირიც სადაც ვარ გაზრდილი. მახსოვს მამა , ბიძა, მამაჩემის ძმები, ყველა დალალობდნენ ანუ ვაჭრობდნენ. ყიდულობდნენ და ყიდნენ. ზოგი ტუფლს ყიდდა, ზოგი შარვალს, ზოგი კოსტუმს...ზოგს ჩინეთიდან ჩამოჰქონდა. პოლიცია დასდევდა ამ ხალხს.ზოგი ფულს უდობდა, რომ არაფერი ეთქვათ. ზოგს ვისაც ფული არ ჰქონდა, დაიჭირამდნენ...ჩვენ კარგი მეზობლები გვყავდა. შერეული ქორწინებები იყო, მაგრამ იშვიათად ათასში ერთხელ. 99% ებრაელი ებრაელზე ქორწინდებოდა. ჩვენი ქალი ინგლისელს არ წაყვება, ამერიკელს, ბელგიელს არ წაყვება...დაჟე 80% ქართველი

ქართველთან უნდა გავიდეს და კიდევ 20% ებრაელთან უნდა გავიდეს... ამ სინაგოგაში ვინც ივრითი არ იცის, ქართულად ლოცულობს...ყველა ებრაელს რომ შეეკითხო, რომელიც საქართველოშია დაბადებული, ყველას საქართველო უყვარს. მე, მაგალითად, როცა ისრაელში ვარ, მგონია რომ საქართველოა ჩემი დედამიწა... ქუთაისის სახლს ვინ დაგვატოვებდა ისე, ხელი მოგვაწერინეს რომ მიდღემში არ ჩამოხვალთო...“(სტილი დაცულია)

კვლავ მოსე ჭიანჭურის მოგონებებიდან: „მე ვცხოვრობდი იეთიმ გურჯის ქუჩაზე, ლესელიძედან, ვერცხლის ქუჩიდან იყო ჩასახვევი. დიდი სახლი გვქონდა. ორმა ოჯახმა იყიდა: მეგრელმა ოჯახმა და ჩვენმა ებრაელმა იყიდა ერთი სართული და პადვალიც, სადაც იყო ქვევრები, შტოფები. ახლაც რომ ვიყავი თბილისში, სულ მივდივარ, ვდგები და ვუყურებ ჩემს ყოფილ სახლს. ბაბუაჩემი შიგ სინაგოგაში ცხოვრობდა, დავითაშვილი იმანუელი. იურა ბერიძემ ბაბუაჩემზე კინო გადაიღო თბილისში. ოთარ კობერიძე თამაშობს იქ ბაბუაჩემის როლს. ნატვრა მაქვს, რომ თბილისში ჩავიყვანო ჩვენი რაბი და ვანახო ლესელიძის სალოცავი, რომელიც ბაბუაჩემის სახელზეა... ლაზიშვილების ისტორია გახსოვთ? მამაჩემი იყო მათი პარტნიორი. ბიზნესმენი იყო მამაჩემი, 4000 მუშა უმუშავებდა. დოლაბაურზე ჰქონდათ მაგათ ეგ ცეხები, მამაჩემს, მაცაბერიძეს და ლაზიშვილებს. მილიციის უფროსი იყო მაშინ შევარდნაძე...ოთხი წელი იმალებოდა მამაჩემი...

მე ისრაელში ვარ წასული საქართველოდან 1974 წელს, 15 წლის ვიყავი. 19 წლის შემდეგ ჩავედი თბილისში, მახსოვს მძლოლს შორს გავაჩერებინე მანქანა და ჩემს სახლამდე ფეხით წავედი...მე ისე მიყვარს საქართველო, თბილისი. დაახლოებით ორი წლის წინ ვიყავი ჩემ შვილთან ერთად ბოლოს და იქ გავიგონე, რომ ჩემმა ბიჭმა თქვა: “თუ მოვინდომე აღარ ვიმუშაო და სადმე ვიცხოვრო, თბილისში მინდა ვიცხოვრო“. აქ არის დაბადებული და გაზრდილი იოსი, ქართული ასი პროცენტით იცის. ჩემი მეუღლე სოხუმელია. ოთხი წლის იყო სოხუმიდან რომ წამოიყვანეს. ქართული ჩვენს ოჯახში ისწავლა... ქრისტიანებს რომ გაქვთ აღდგომა, თქვენ ხომ კვერცხებს აფერადებთ? ისე მინდოდა ბავშვობაში კვერცხების გაფერადება, მაგრამ გვიკრძალავდნენ...ერთხელ რა მითხრეს იცით? თქვენ ბავშვებს კლავთო და იმათი სისხლით აკეთებთ მაცასო. პირში მითხრეს, ბავშვი ვიყავი, უბანში... დღეს პარიზის ქუჩები არ მახარებს ისე, როდესაც ბავშვობაში რუსთაველზე გავიდოდი.

დღესაც დაიჯერეთ, ახლა რომ ვიყავი ორი თვის წინ, ვაკის პარკიდან ფილარმონიამდე ჩამოვედი ფეხით...აჭარული ვჭამე ძველებურ ლალიძეში, ქვემოთ დღემდე ის რემონტია.ზევით წყლები იყო მაღაზიის მაგივრად... ახლა სადაც დიდი სასტუმროა თავისუფლებაზე, მანდ ტროლეიბუსები ჩერდებოდა და მთაწმინდაზე ადიოდნენ პონჩიკების საჭმელად, 8 კაპიკი ღირდა. 50 წელი გავიდა, მაგრამ დღესაც მაქვს გემო, საქართველო კაია...ერთ-ერთ დიდ ბანკეტზე მიმიწვია ქართველმა, რომელსაც გასტინიცები აქვს საბურთალოზე. ისეთი რამ ვთქვი სუფრაზე ,რომ გაგიჟდნენ. ჯერ ჩემი ქართული მოეწონათ ძალიან, მერე მოვიდა ჩემი ჯერი, რომ სადღეგრძელოსავით რაღაც მეთქვა. ბოლოს კი ვთქვი: მე ვარ ჯერ ქართველი და მერე ებრაელი, ამაზე სულ მთლად გაგიჟდნენ, იმიტომ რომ მე ვითვლები ქართველ ებრაელად და არა ებრაელ ქართველად და

იცით კიდეც რა ვუთხარი? ვფიქრობ ქართულად, სახლში საჭმელი ქართული გვაქვს დღემდე. ამდენი ხნის წამოსულები ვართ, კამპანიებს ქართულად ვაკეთებთ, მუსიკაც ქართული გვაქვს. არ არსებობს საქართველოში ერი, რომელმაც შეინარჩუნა ქართველობა, როგორც ებრაელმა.“

ჩვენი თანამემამულე, ექიმი და შოუმენი ჯონი ჯანაშია ქართველ ებრაელებს „თანაშეზრდილ მოკეთეებს“ უწოდებს, რაც ვფიქრობთ სრულად გამოხატავს ჩვენ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს. „ასე მოაბიჯებს ერთმანეთის გვერდიგვერდ ორი მონათესავე სული, ასე მოუყვებიან ისტორიის გზებსა და ზიგზაგებს, ერთი იუდეველია, მეორე ქრისტიანი, მაგრამ ორივეს ფესვები უძველეს საუკუნეებში იკარგება, ხოლო „სიძველისადმი გრძნობა-პატივი“ერთსაც და მეორესაც ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი... და მოდიან ასე, როგორც „ერთსულ და ერთხორც“-საერთო ბედით, საერთო ცრემლით, საერთო ფიქრით და საერთო ტკივილით. ერთნაირად დასტირიან შეგინებულ ტაძრებს და აჩეხილ ვენახებს...“ (სეფიაშვილი, 2000:41).

დასკვნა

მუშაობის პროცესში ინდივიდთა კომუნიკაციურმა მეხსიერებამ ჯამში მოგვცა კოლექტიური მეხსიერების მკაფიო სურათი, რომელიც ამ ინდივიდთა საერთო ნარატივს შეიცავს. მოპოვებულმა მასალამ კიდეც ერთხელ დაგვანახა ის ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომელთაც ხელი შეუწყვეს ებრაული ეთნოსის ინტეგრაციის მაღალ ხარისხს საქართველოში და ქართული სოციუმის კეთილგანწყობას მის მიმართ.

ჩვენი სამუშაო ჯგუფის წევრები აგრეთვე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ კოლექტიური და კომუნიკაციური მეხსიერების მნიშვნელობა გარკვეულწილად ემთხვევა ერთმანეთს, რადგან ცალკეულ პირთა ინდივიდუალური მეხსიერებათა ჯამი ამავედროულად წარმოადგენს კოლექტიურ მეხსიერებას და გამოვიყენეთ იგი, როგორც ყველაზე პერსპექტიული ნარატიული მიდგომა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოპოვებული მასალა ხშირად ამბივალენტურია. ზოგჯერ ერთი და იგივე მოვლენა აღძრავს ადამიანებში როგორც დადებით, ასევე უარყოფით გრძნობებს.

ამრიგად, ბელგიის სამეფოში, ქალაქ ანტვერპენში ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის მიერ მოპოვებული ნარატიული მასალის წარმოჩენასთან ერთად, გამოიკვეთა იქ მცხოვრებ ქართველ-ებრაელთა დღევანდელი ყოფა-ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები და მათ საურთიერთო წრეში მიმდინარე ყურადსაღები მოვლენები. აღნიშნული კი ძალზედ მნიშვნელოვანია ინტერდისციპლინური კვლევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Mühlmann, W. (1995). *“Neue ethnologische Forschungsansätze im Nationalsozialismus?”* Reimer. Berlin.
- Assmann, J. (2011). *“Communicative and Cultural Memory”*. [https://archiv.ub.uni-heidelberg.de/propylaeumdok/1774/1/Assmann Communicative and cultural memory 2008.pdf](https://archiv.ub.uni-heidelberg.de/propylaeumdok/1774/1/Assmann%20Communicative%20and%20cultural%20memory%202008.pdf)
- Assman, A. (2011). *“Cultural Memory and Western Civilization”*. University of Konstanz, Germany. Cambridge university press.
- Malicki, K. (2015). *“BETWEEN CULTURAL MEMORY AND COMMUNICATIVE MEMORY – THE DILEMMAS OF RECONSTRUCTION OF ANNIHILATED PAST OF POLISH JEWS”* <https://cultcenter.net/journals/index.php/culture/article/view/133/117>
- სეფიაშვილი, ა. (2000). *„პარიზი, ბონი, ნიუ იორკი“*. თელ-ავივი: გამომცემლობა „ალია მიგურგია“.
- აჯიაშვილი, ჯ. (1992). *„გამოიღვიძე ქნარო, ისტორიული ესსე“*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“.

REFERENCES

- Mühlmann, W. (1995). *“Neue ethnologische Forschungsansätze im Nationalsozialismus?”* Reimer. Berlin.
- Assmann, J. (2011). *“Communicative and Cultural Memory”*. [https://archiv.ub.uni-heidelberg.de/propylaeumdok/1774/1/Assmann Communicative and cultural memory 2008.pdf](https://archiv.ub.uni-heidelberg.de/propylaeumdok/1774/1/Assmann%20Communicative%20and%20cultural%20memory%202008.pdf)
- Assman, A. (2011). *“Cultural Memory and Western Civilization”*. University of Konstanz, Germany. Cambridge university press.
- Malicki, K. (2015). *“BETWEEN CULTURAL MEMORY AND COMMUNICATIVE MEMORY – THE DILEMMAS OF RECONSTRUCTION OF ANNIHILATED PAST OF POLISH JEWS”* <https://cultcenter.net/journals/index.php/culture/article/view/133/117>
- sepiashvili, a. (2000). *„p'arizi, boni, niu iork'i“* [*“Paris, Bonn, New York”*]. Tel-Aviv: "Alia Migurgia" publishing house.
- ajiashvili, j. (1992). *„gamoighvidze knaro, ist'oriuli esse“* [*“Awake, Chorus, Historical Essay”*]. Tbilisi: Publishing House "Georgia".